სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01.05.04/215

ქ. თბილისი 31 ივლისი 2019

სტუ-ის ჟიული შარტავას სახელობის სახელმწიფო პოლიტიკისა და მართვის პრობლემების საფაკულტეტთაშორისო ცენტრის რეორგანიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის ჟიული შარტავას სახელობის სახელმწიფო პოლიტიკისა და მართვის პრობლემების საფაკულტეტთაშორისო ცენტრის დირექტორის, ზ. ჯიბლაძის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 31 ივლისის №01-05-02/17 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის ჟიული შარტავას სახელობის სახელმწიფო პოლიტიკისა და მართვის პრობლემების საფაკულტეტთაშორისო ცენტრის რეორგანიზების ბაზაზე შეიქმნას სტუ-ის სოციალური კვლევის ცენტრი და დამტკიცდეს მისი დებულება;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დაამტკიცოს აღნიშნული ცენტრი და მისი დებულება;
3. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს სტუ-ის ჟიული შარტავას სახელობის სახელმწიფო პოლიტიკისა და მართვის პრობლემების საფაკულტეტთაშორისო ცენტრის დირექტორი, ზ. ჯიბლაძე;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**